პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„მომინანქრება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა - საიუველირო საქმე / Jewellery

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02120-პ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში / Basic Vocational Qualification in Enamelling; განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაციები განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი: 0214, აღმწერი - *„შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“.*

მიზანი: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს საიუველირო საქმის სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მომინანქრების მიმართულებით.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: მომინანქრებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს მემინანქრედ. პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით.

კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით უმაღლესი განათლების სისტემაში საიუველირო ხელოვნების მიმართულებით.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები:16.29; 16.29.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7313; 7319

სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამურად 17 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით და 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 29 კრედიტის რაოდენობით.

მომინანქრებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **62 კრედიტი.**

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 62 კრედიტი;

- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 48 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის - 77 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქაუთლენოვანი სტუდენტებისთვის - 58 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 1	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	სამოქალაქო განათლება	3
6.	უცხოური ენა - ინგლისური	4
სულ		**17**
საერთო პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	საიუველირო საქმის გაცნობითი პრაქტიკა	3
2.	საიუველირო საქმის მასალათმცოდნეობა	3
3.	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
4.	ხაზვა - ქვის, ხის და ლითონის მხატვრული დამუშავებისათვის	3
5.	საიუველირო ხელოვნების ისტორიის საწყისები	1
6.	სამუშაოს ორგანიზება საიუველირო საქმეში	2
სულ		**16**
„მომინანქრების“ პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	პრაქტიკული პროექტი მემინანქრეობაში	5
2.	ტიხრული მინანქრის ნაკეთობათა დამზადება	15
3.	მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება	8
4.	ძველი ქართული ტიხრული მინანქრის შესრულების ტექნიკა	1
	ჯამი:	**29**
	სულ:	**62**

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ნაკეთობის მომინანქრების ესკიზი
2. შეარჩიოს ნაკეთობისთვის საჭირო მასალები
3. შეარჩიოს საჭირო ინსტრუმენტები და იარაღები
4. შეასრულოს ტიხრული მინანქრის ტექნიკით სასუვენირო, საიუველირო და სხვა სახის ნაკეთობა
5. გამოიყენოს მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკა ნაკეთობათა დამზადებისას
6. განახორციელოს მინანქრის ნაკეთობის შესრულებაზე დავალების/დაკვეთის მიღება-გაფორმება, კალკულაცია;
7. დაგეგმოს და და განახორციელოს ნაკეთობის რეალიზაციაზე ორიენტირებული ღონისძიებები.